თბილისელები ფორმაში არიან

მოსკოვი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 14 ივნისი.

"ლოკომოტივი" (მოსკოვი) - "დინამო" (თბილისი) - 0:1 (0:1).

"ლოკომოტივი": შეხოვი, ბასალაევი (დანილოვი), ივანოვი, გონჩაროვი, ზაიცევი, ბელისკოვი, პეტროვი, ერიომინი (შელი), კოხი, ნაპრეევი, დიმიტრიადი.

"დინამო": ურუშაძე, პეტრიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ი. კაჩარი (კიევი).

დუბლიორები - 1:0 "ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

"ლოკომოტივი" დიდი ხანია II ქვეჯგუფის ერთპიროვნული აუტსაიდერია. გუნდი აშკარად სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ გარკვეული პერსპექტივა მაინც აქვს დარჩენილი და სწორედ ახლა, როცა ახლოვდება ქვეჯგუფებში ბრძოლის ფინიში, როცა სულ რამდენიმე შეხვედრაა დარჩენილი II წრის დასასრულამდე, მას უკანასკნელი შანსები შემორჩა ამ პერსპექტივის სისრულეში მოსაყვანად.

მაგრამ რკინიგზელებმა თავიანთი ეს ერთ-ერთი ბოლო შანსი ვერ გამოიყენეს და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი. უბრალოდ, ამ დღეს ისინი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ თბილისის "დინამოს" შეტევის წარმოებაშიც, ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებაშიც, თამაშის საერთო კლასშიც. ერთადერთი, რაც არ შეესაბამება ძალთა შეფარდებას განვლილ შეხვედრაში, არის მინიმალური ანგარიში, რომლითაც გამარჯვება წილად ხვდათ თბილისელებს.

თბილისის "დინამო" ახლა მოსკოველი მაყურებლის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტს წარმოადგენს. ცხადია, რომ ეს გუნდი კიევის "დინამოს", მოსკოვის "სპარტაკსა" და ცსკა-სთან ერთად მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს წარმოადგენს, ამდენად, მის თამაშსაც უნდა მივუდგეთ, როგორც გარკვეულ ეტალონს. თუ ამ პოზიციიდან ვიმსჯელებთ, თბილისელები მინდორზე, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობენ მაღალი ტექნიკით, ბურთის ფლობის სიმსუბუქით, ძალდაუტანლობით, სწრაფი ტემპით, მოთამაშეთა მოულოდნელი მანევრებით. დინამოელები გაცილებით სჯობდნენ თავიანთ მეტოქეებს. ეს ყველასთვის ცხადი იყო, მაგრამ ერთი სერიოზული ნაკლი მაინც შეიმჩნეოდა: ესაა ზედმეტად "მშვიდობიანი" განწყობა იმ მომენტებში, როცა დანდობაზე ფიქრიც კი ზედმეტია და ფეხბურთელმა აუცილებლად უნდა გაიტანოს გოლი. თბილისელები კი ამ დროს მხოლოდ თამაშობენ, თამაშობენ და შეტევის მთავარი ობიექტი - მეტოქის კარი თითქოს დავიწყებული აქვთ. მე არ მეგულება გუნდი, რომელიც ამდენ საგოლე მომენტს კარგავდეს თამაშში.

ისე კი, დინამოელები ძალიან ლამაზად თამაშობენ, თავისუფლად, გაშლილად, ხშირი დრიბლინგით. მათ ჯერ კიდევ მე-2 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა გ. ნოდია სულ ახლოს აღმოჩნდა კარის წინ, მარტოდმარტო. მალე ძმის მაგალითს მიბაძა ლ. ნოდიამ და თავისი სწრაფი გარღვევა უზუსტო დარტყმით დაამთავრა.

ლ. ნოდია ამ დღეს საუკეთესოდ თამაშობდა. იგი მე-15 წუთზე ისევ გაიჭრა ფრთაზე, ჩააწოდა კართან, სადაც იყვნენ გ. ნოდია და ზაიცევი. ამ უკანასკნელმა "დაასწრო" ფორვარდს და ბურთის კუთხურზე გადაყვანის ცდისას საკუთარ კარში ჩაჭრა იგი.

და აი, მოკრძალებულ ანგარიშს დასჯერდა თბილისის "დინამო", თუმცა მას შეეძლო კიდევ ქულა შეემატებინა თავისი აქტივისთვის დიდი ანგარიშით მოგებული მატჩებისთვის პრიზის მოსაპოვებლად. მაგრამ სტუმრებმა დაინდეს რკინიგზელთა გუნდი (უნდა აღინიშნოს შეხოვის საუცხოო თამაში) და არ გამოიჩინეს ის "სისასტიკე", რომელიც ასეთ დროს საჭირო.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
"ლელო", 17 ივნისი, 1969 წ.